

„საზღვრის“ ცნება ანტიკურ წყაროებში

ანტიკური ცივილიზაციის დაახლ. 2000-წლიან ხანგრძლივ მონაკვეთში (ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ახ. წ. IV საუკუნემდე) ქართველური მოდგმის ტომების განსახლების არეალისა და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულების საზღვრების დადგენა-დაზუსტებისათვის, ძველადმოსავლურ წყაროებთან ერთად, ბერძნულ და ლათინურენოვან ტექსტებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ხანაზე, რომელიც, ტრადიციული დაყოფით, კლასიკურ (ძვ. წ. V – IV სს.), ელინისტურ (ძვ. წ. IV – II/I სს.) და რომაულ (ძვ. წ. II – I - ახ. წ. IV სს.) პერიოდებს მოიცავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დროის ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებები წარმოადგენს წერილობით წყაროთა ფაქტობრივად ერთადერთ ბაზას, რომელიც მდიდარ მასალას იძლევა თანადროულ ისტორიულ საქართველოში მიმდინარე ეთნო-კულტურული, პოლიტიკური, სოციალური და სხვა პროცესების შესახებ. სწორედ მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვიდრე ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ამა თუ იმ ცნობის კრიტიკულ განხილვას შევუდგებით, საჭიროდ მიგვაჩნია, პირველ რიგში, გავარკვიოთ თავად „საზღვრის“ ცნება ანტიკურ მწერლობაში და ის ტერმინები, რომელსაც ბერძენი და რომაელი ავტორები ამ ცნების გადმოსაცემად იყენებდნენ.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისით, ეთნიკურ ერთობათა შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა არის განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც ათასწლეულების მანძილზე ყალიბდება. ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობა იმდენად ერწყმის მას, რომ თავის განუყოფელ ნაწილად, „მშობლიურად“ აღიქვამს; თაობიდან თაობას გადაეცემა ცოდნა იმის შესახებ, რომ „მშობლიური მიწა“ დასაბამითგან დაკავშირებულია მოცემული ხალხის ისტორიულ ბედთან. ამავდროულად, ნებისმიერი ეთნოსის თვითმყოფადობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა მეზობლებისგან გამიჯვნაა. ეთნიკური ჯგუფის წევრები თვითიდენტიფიკაციას მხოლოდ სხვებთან დაპირისპირების გზით ახერხებენ. ამიტომაც უძველესი კულტურის ხალხების წარმოდგენით, „სამყარო“, „ქვეყანა“ იყო ის ადგილი, სადაც „ჩვენ“ ჯგუფი ცხოვრობდა. ეს იყო მოწესრიგებული, კარგად ნაცნობი კონკრეტული ტერიტორია, სადაც წესრიგი და ადამიანთა შორის თანხმობა სუფევდა. აღნიშნული გეოგრაფიული არეალი, რომელიც ეთნოსის ცნობიერებაში მკაცრად იყო შემოსაზღვრული, მკვეთრად იმიჯნებოდა იმ სივრცისაგან, სადაც „სხვები“, „ისინი“ სახლობდნენ.¹ ამიტომაც თითოეული ეთნოსი თავგანწირვით იცავდა თავის საკუთარ საცხოვრისს და მის ხელყოფას ვერაფრით ეგუებოდა. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: „ქვეყანა მხოლოდ საზღვრებში

¹ დაწვრ. იხ.: ვ. ვაშაკიძე, სახელმწიფო ტერიტორია - „კოლექტიური მემსიერების ხატი“. ანალები, 2016, N 12, გვ. 60-67 (ლიტ. იქვე).

წარმოიდგინება. უსაზღვრო ქვეყანა უაზრობაა. ამდენადვე ნომადს, რომელმაც თავისი სახეტილოს საზღვარი არ იცის, არც ქვეყანა აქვს“.² რა თქმა უნდა, მეცნიერის ეს თვალსაზრისი არ გულისხმობს იმას, რომ ნომადებს თავიანთი საცხოვრებელი გეოგრაფიული არეალი არ გააჩნიათ, მაგრამ კლასიკური გაგებით ქვეყანა, რაც ბინადარ ხალხებს აქვთ და რომელსაც თავისი ისტორიული საზღვრები ახასიათებს, მომთაბარეთათვის მართლაც უცხო იყო.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლისათვის კლასიკური და შემდგომი ხანის ბერძნულ-ლათინური ტექსტების შერჩევა შემთხვევით არ მომხდარა. ერთ-ერთი მიზეზია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ კლასიკურამდელი პერიოდის (ე.ი. ანტიკური ძეგლების გამოჩენიდან ძვ. წ. VI ს-ის ბოლომდე) ავტორებისათვის დამახასიათებელია რეალობის მითოლოგიური აზროვნების კრიტერიუმებით აღქმა და მათში კავკასია და, შესაბამისად, ქართველური სამყაროც, პრომეთესა და არგონავტების თქმულებების კონტექსტშია გააზრებული; კლასიკურ ეპოქაში უკვე წინა პლანზე გამოდის ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკული ხედვა. ამ პერიოდში კავკასია თანდათანობით ლეგენდარულის სფეროდან რეალურში გადადის როგორც ტერმინოლოგიური, ასევე ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით და იღებს უფრო კონკრეტულად გამოკვეთილ ხასიათს“.³ ბუნებრივია, ამას ხელი შეუწყო „დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ“, რომელიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. VI ს-დან ივარაუდება. ამ პროცესმა და სხვა დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა (ბერძენ-სპარსელთა ომები, ალექსანდრე მაკედონელის აზიაში ლაშქრობა, რომის იმპერიის აღმოსავლეთით გაფართოება და მითრიდატე VI ევპატორის ომები, რომაულ-პართიული დაპირისპირება და სხვ.) თანდათანობით გააღრმავა ბერძენ-რომაელ ავტორთა ცოდნა ქართველური სამყაროს შესახებ. სწორედ ამიტომაც კლასიკური და მომდევნო პერიოდის ანტიკური წყაროები მდიდარ მასალას იძლევა თანადროული ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნო-კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვა პროცესებზე.

სხვა მიზეზი იმისა, რომ ჩვენ კლასიკური და შემდგომი პერიოდის ბერძნული და ლათინურენოვანი ტექსტებით შემოვიფარგლებით, თავად ანტიკური ეპოქის აზროვნებაში მომხდარი ცვლილებებია. ცნობილია, რომ ბერძნული საზოგადოება ძვ. წ. VIII ს-მდე (ე.ი. პოლისურ პერიოდამდე) წარმოადგენდა კონგლომერატს მარტივი დუალური ოპოზიციით „ἐ- ἰ“ („წარჩინებულები“ - „რიგითი მოსახლეობა“), სადაც ინდივიდუუმები შეადგენდნენ ტერიტორიულ-გენტილურ და არა სოციალურ-პოლიტიკურ ერთობას.⁴ პოლისურ საბერძნეთში ტერმინები „ელინი“ და „ბარბაროსი“, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ ბერძნულად და არაბერძნულად

² ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII, თბ., 1975, გვ. 107.

³ რ. გორდეზიანი, გ. უგულავა. კავკასია/კავკასოსი. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, ტ. III, თბ., 2018. გვ. 28.

⁴ В. П. Яйленко. Архаическая Греция. В кн.: Античная Греция. Т.1, Становление и развитие Полиса. М., 1983, ст. 154-155.

მოლაპარაკეებს აღნიშნავდა, სრულიად ახალ ელფერს იძენს. ელინები პოლისებში მცხოვრები თავისუფალი და თავისუფლებისმოყვარე ხალხია, ბარბაროსები კი - ყველა დანარჩენი, თუნდაც ბერძენთა მონათესავე.⁵ კლასიკურ ხანაში ხდება გააზრება იმ ნიშან-თვისებებისა, რაც საერთო აქვთ ელინებს. ჰეროდოტოსი (ძვ. წ. 485-424 წწ.) „ისტორიაში“ (VIII, 144) სრულიად ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს: „ელინებს ერთი სისხლი და ერთი ენა აქვთ. საერთო აქვთ ღმერთების ტაძრები, მსხვერპლშეწირვები და წეს-ჩვეულებები“.⁶ ბერძენი ავტორისათვის ელინების ერთობას განაპირობებს საერთო წარმომავლობა, ენა, რელიგიური წარმოდგენები და მასთან დაკავშირებული რიტუალი. ამგვარი სოციალური ერთობის აღსანიშნავად ტერმინი „ἔθνος“ /„ეთნოსი“ კლასიკური პერიოდიდან მოყოლებული მტკიცედ იკიდებს ფეხს. ამ დრომდე „ეთნოსი“ (რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „ჯიში“) გამოიყენებოდა როგორც ადამიანთა, ისე სხვა ცოცხალი ორგანიზმების წარმომავლობის, გვარის, მოდგმის, სახეობის, ჯილაგის, გუნდის და ა. შ. გადმოსაცემად.

ამრიგად, ტერმინმა „ეთნოსმა“ ჰეროდოტოსის დროიდან ბერძნულ მწერლობაში შეიძინა თავისი ძირითადი მნიშვნელობა; ის უპირატესად მიემართება ადამიანთა საზოგადოებას და აღნიშნავს „ტომს“, „ხალხს“. თავად ჰეროდოტოსისთვის „ეთნოსი“ მკაცრად ჩამოყალიბებული ცნებაა, რაც კარგად ჩანს ზემოთ მოტანილი ელინთა დახასიათებიდან, თუმცა ის თავისი თხზულების სხვა მონაკვეთში კიდევ უფრო აზუსტებს „ეთნოსის“ ნიშნებს. ისტორიკოსის აზრით, „მთელი ეგვიპტე არის ის ქვეყანა, რომელიც ეგვიპტელებითაა დასახლებული ისევე, როგორც კილიკიე კილიკიელებით და ასირიე ასირიელებით“ (II, 17);⁷ ან „კოლხიდიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპერების ტომი“ (I, 104).⁸ სრულიად ცხადია, რომ ეგვიპტელებს, კილიკიელებს, ასირიელებს, კოლხებს, მიდიელებს (ბუნებრივია, სასპერებსაც) ჰეროდოტოსი „ეთნოსებად“ განიხილავს. ყოველ მათგანს თავისი საკუთარი ქვეყანა აქვს, რასაც მოწმობს ტერმინები: Aí - ქვეყანა ეგვიპტე და Aí - ეგვიპტელები. A í - ქვეყანა ასირიე/ ასირია და A - ასირიელები, í í - ქვეყანა კილიკიე/ კილიკია და í - კილიკიელები, í - ქვეყანა კოლხიდა და ó - კოლხები, M ή - ქვეყანა მიდია და Mή - მიდიელები და ა. შ. გამოდის, რომ ჰეროდოტოსის აზრით, ქვეყანას, ანუ კონკრეტულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიას, ერთი ეთნოსი ასახლებს და ეს უკანასკნელი ქვეყნის სახელის მიხედვით იწოდება. ე. ი. ეგვიპტელები ეგვიპტის მაცხოვრებლები არიან, კილიკიელები - კილიკიისა, ასირიელები - ასირიისა, კოლხები - კოლხიდისა, მიდიელები - მიდიისა. ამდენად, თუ

⁵ ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები. თბ., 2009, გვ. 26.

⁶ ჰეროდოტე. ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა. ტ. II, თბ., 1976, გვ. 534.

⁷ ჰეროდოტე. ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა. ტ. I, თბ., 1975, გვ. 124.

⁸ იქვე, გვ. 76.

ზემოთქმულს შევაჯამებთ, მივიღებთ „ეთნოსის“ ჰეროდოტოსისეულ განმარტებას: „ეთნოსი“ არის ადამიანთა საზოგადოება, რომელსაც აქვს მკაცრად განსაზღვრული ტერიტორია, ანუ საკუთარი ქვეყანა, საერთო წარმომავლობა (ერთი სისხლი), ერთი ენა, რელიგიური რწმენა და მასთან დაკავშირებული რიტუალი. აქ არ შეიძლება შეუმჩნეველი დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ თავად ელინებთან დაკავშირებით ჰეროდოტოსი არსად ახსენებს მათ საერთო ქვეყანას. ვფიქრობთ, ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ჰეროდოტოსი რაციონალურად მოაზროვნე ისტორიკოსია და მისი დროისათვის არსებულ რეალობას უწევს ანგარიშს. აღნიშნული პერიოდისათვის კი ძველი ბერძნები ისტორიული სამშობლოს გარდა მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთს იყვნენ მოდებულნი, ხოლო სახელმწიფოს მოწყობის პოლისური სისტემის გამო მათ ერთიანი და ისეთივე შემოსაზღვრული ქვეყანა არ გააჩნდათ როგორც მაგ., ეგვიპტელებს, ასირიელებს, მიდიელებსა და სხვა ეთნოსებს.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ საკითხების განხილვისას კიდევ ერთი საინტერესო კითხვა ჩნდება: თუ ჰეროდოტოსისეული „ეთნოსის“ ცნების გააზრება მეტ-ნაკლებად გასაგებია, როგორ ესმოდათ ეს ტერმინი (ან მისი ადგილობრივი შემცვლელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ ტომებსა და ხალხებს, რომელთაც ბერძენი ავტორი ეთნოსებად მოიხსენიებს? ცხადია, ეს პრობლემა სპეციალურ კვლევას მოითხოვს და ცდება წინამდებარე ნაშრომის მიზნებს. ჩვენ ზემომოტანილი მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა, „საზღვრის“ ცნების შესწავლისათვის რატომ შემოვიფარგლებით კლასიკური და შემდგომი ხანის ანტიკური წყაროებით.

ვიდრე ჰეროდოტოსის „ისტორიაში“ საზღვრის ცნებას და მის აღმნიშვნელ ტერმინებს შევხებით, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მისი წინამორბედი ავტორები ჰეკატეოს მილეტოსელი (დაახლ. ძვ. წ. 560-480 წწ.), ესქილე (ძვ. წ. 525/524-456/455 წწ.), სოფოკლე (ძვ. წ. 497/496 – 406/403 წწ.), პინდაროსი (ძვ. წ. 532/518 – 443 წწ.) ქართველური მოდგმის ტომების ან მათი საცხოვრისის შესახებ მხოლოდ ზოგადი მინიშნებებით კმაყოფილდებიან. მაგ., ესქილესთან ხალიბების სამყოფელი არის „ზღვის ხელმარცხნივ“, „პონტოს სანაპიროზე“; კოლხისი „მდებარეობს სკვითიაში“ და ა. შ. მიუხედავად ამისა, ყურადღებას იქცევს რამდენიმე პასაჟი. იმავე ესქილესთან ნათქვამია: „პოეტი მას (ტანაისს) უწოდებს საზღვარს (ὄριον), განმსაზღვრელს (ὄριον) და გამყოფს ხმელეთისა, ე. ი. ორი მიწისა - ევროპისა და აზიის, როგორც ამბობს აგრეთვე პერიეგეტესი: „ევროპას აზიისგან შუაში ყოფს (ὄριον) ტანაისი“.⁹¹ ბერძენ ტრაგიკოსთან გამოყენებული „ὄριον“ (ჰოროს) არის მიჯნა, სამანი, საზღვარი; „ὄριον“ (ჰორისმოს) - გამმიჯვნელი, განმსაზღვრელი, საზღვრის დამდები; „ὄριον“ (ჰორიდო) კი ზმნაა, რომელიც აღნიშნავს საზღვრის დადგენას, საზღვრის დადებას. ბოლო ორი სიტყვის ძირია „ὄριον“ - „ჰოროს“. ე. ი. „საზღვრის“ გადმოსაცემად ესქილე იყენებს ტერმინს „ჰოროსს“, რაც მისთვის ორ ქვეყანას, ევროპასა და აზიას შორის გამყოფ მიჯნას წარმოადგენს.

⁹¹ ესქილე. მიჯაჭვული პრომეთე. ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია. ტ. I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 72 (შემდეგში: ანტიკური კავკასია).

ჰეკატეოს მილეტოსელის ცნობით, „მოსხები, კოლხების ტომი, მატეინების მეზობელი (Ἰ)“.¹⁰ ეს უკანასკნელი ტერმინი ნიშნავს მახლობლად, მეზობლად, მიმდებარედ, მოსაზღვრედ მყოფს.

იგივე ავტორი წერს: „ხალიბოის (ე. ი. ხალიბებს - ვ.ვ.) სამხრეთიდან ესაზღვრებიან (ὅμ) არმენიელები“.¹¹ „ὄμ “ („ὄμ “ მისი იონიური ფორმა) მნიშვნელობაა მოსაზღვრე, მომიჯნავე, ასევე მოსაზღვრე ქვეყნის მცხოვრები-მეზობელი. აღსანიშნავია, რომ მოტანილი ტერმინის ძირია „ὄ “ - „ჰოროს“, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. ამდენად, გამოდის, რომ ორი ხალხის (ამ შემთხვევაში ხალიბებისა და არმენიელების) საცხოვრისის გასამიჯნად ჰეკატეოს მილეტოსელიც იყენებს ტერმინ „ჰოროსს“.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ტერმინს და მისგან ნაწარმოებ სიტყვებს ხშირად მიმართავს ჰეროდოტოსიც. მისი თქმით, „მიდიის საგამგებლოსა და ლიდიას შორის საზღვარი (ἴ) იყო მდინარე ჰალისი“ (I, 72)¹². „ ἴ “ არის „ὄ “ - „ჰოროსის“ იონიური ფორმა.

ჰეროდოტოსი წერს, რომ მეოტისის ტბა „საზღვრავს (ἴ ἰ) სამეფო სკვითებსა და სავრომატებს“ (IV, 57).¹³ „ ἴ ἰ “ - „ὄ ἰ “ არის ზმნა, რომელიც ნიშნავს საზღვრის დადებას, საზღვრის განსაზღვრას. ვფიქრობთ, რთული შესამჩნევი არ არის, რომ ის ნაწარმოებია ძირიდან „ὄ “ - „ჰოროს“.

როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში ჰეროდოტოსი ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ ქვეყანას, ხოლო მეორე შემთხვევაში - ორ ეთნოსს. ორივე ეპიზოდის გადმოცემისას ისტორიკოსი „საზღვრის“ ცნების გადმოსაცემად იყენებს ტერმინს „ὄ “ - „ჰოროსს“. ანალოგიური ვითარებაა V, 52-ში, სადაც ნათქვამია: „კილიკიისა და არმენიის საზღვარი (ἴ ἰ) მოდის სანაოსნო მდინარეზე, რომლის სახელიც არის ევფრატესი“.¹⁴ ამდენად, სრულიად ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ჰეროდოტოსი ქვეყნების ან ეთნოსების საცხოვრისი ტერიტორიების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად იყენებს ტერმინს „ὄ “ - „ჰოროსს“.

თუ ჰეროდოტოსის თხზულებიდან ზემოთ მოტანილ მაგალითებს დავუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ბერძენი ისტორიკოსისათვის ქვეყნებსა თუ ეთნოსებს შორის საზღვარი, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივ ზღუდეებზე გადის. გავიხსენოთ, რომ მიდიასა და ლიდიას მდ. ჰალისი ჰყოფს, კილიკიასა და არმენიას - მდ. ევფრატესი, სკვითებსა და სავრომატებს - მეოტისის ტბა. ვფიქრობთ, ეს სრულიად გასაგებია, რადგან ბუნებრივი საზღვრები ყველაზე უკეთ მიჯნავდა ქვეყნებსა და ხალხებს და ეს საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო. იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არ არსებობდა, საზღვრის აღმნიშვნელი ნიშნები გამოიყენებოდა. ჰეროდოტოსის თქმით, ქსერქსესი „მივიდა ქალაქ კიდრარაში, რომელიც მდებარეობს

¹⁰ ჰეკატეოს მილეტოსელი. დედამიწის აღწერა. ანტიკური კავკასია, I, გვ. 80.

¹¹ იქვე, გვ. 6.

¹² ჰეროდოტოსი. ისტორია. ანტიკური კავკასია, I, გვ. 83.

¹³ იქვე, გვ. 100.

¹⁴ იქვე, გვ. 103.

ფრიგიელთა და ლიდიელთა საზღვარზე. აქ სვეტი იყო დარჭობილი, კროსოსის მიერ დადგმული, რომლის წარწერაც ამ საზღვარზე მიუთითებდა“ (VII, 30).¹⁵ ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ, ჰეროდოტოსის მიხედვით, საზღვარი უმთავრესად ბუნებრივ ზღუდეებს მიუყვებოდა, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მის აღსანიშნავად გამოიყენებოდა სპეციალური ნიშანი, აღმართული სვეტი სათანადო წარწერით.

ქსენოფონის (დაახლ. 430-355 წწ.) ცნობით, მდ. კენტრიტესი „საზღვრავს (ὁ ἰ) არმენიას კარდუხების ქვეყნისაგან“ (IV, 3, 1-7).¹⁶ ზმნა „ὁ ἰ“, რომელსაც ბერძენი ავტორი იყენებს, ნიშნავს საზღვრის დადებას, გამოყოფას და ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან „ὄ“ – „ჰოროს“ (საზღვარი). ამაზე ზემოთ იყო საუბარი.

ქსენოფონი აღნიშნავს, რომ ელინები „მიადგნენ მდინარეს, რომელიც მაკრონების ქვეყანას სკვითინების ქვეყნისაგან საზღვრავდა“ (IV, 8, 6).¹⁷ ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია ზმნა „ὁ ἰ“.

იგივე ავტორი მოგვითხრობს, რომ „მაკრონები მათ შეძლებისდაგვარად კარგად ამარაგებდნენ სურსათით და თანაც სამი დღის განმავლობაში თან მიჰყვებოდნენ, სანამ ელინებს კოლხების საზღვართან (ὄ) მიიყვანდნენ“ ((IV, 8, 6).¹⁸ როგორც ვხედავთ, „საზღვარი“ კვლავაც გადმოცემულია ტერმინით „ὄ“ – „ჰოროს“.

„კიროსის ანაბასისში“ ნათქვამია, რომ მიუახლოვდნენ მოსინიკების საზღვარს“ (V, 4, 1).¹⁹ „საზღვრის“ აღსანიშნავად აქაც გამოყენებულია ტერმინი „ὄ“ – „ჰოროს“.

ქსენოფონის მოტანილი ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ იქ, სადაც ბერძენმა მოქირავნებმა გაიარეს, „საზღვარი“ ძირითადად ბუნებრივ ზღუდეებს გასდევდა. ავტორის თქმით, არმენიას კარდუხების ქვეყნისაგან მდ. კენტრიტესი გამოყოფდა; მაკრონების ქვეყანაც სკვითინების ქვეყნისაგან მდინარით იყო გამოიჯნული და ა. შ.

პოლიბიოსი (ძვ. წ. III-II სს.) „ისტორიაში“ იქ, სადაც საუბარია სამყაროს სამ ნაწილად დაყოფაზე, აღნიშნავს: „მის ერთ ნაწილს უწოდებენ აზიას, მეორეს - ლიბიას და მესამეს - ევროპას. მათ ერთმანეთისგან გამოყოფენ მდინარეები: ტანაისი, ნილოსი და სრუტე ჰერაკლეს სვეტებთან“ (III, 37, 2).²⁰ ხსენებული ნაწილების გამოყოფა-გამიჯვნისათვის ავტორი ხმარობს ზმნას „ὁ ἰ“, რომელზეც უკვე ითქვა, რომ ის ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან „ὄ“ – „ჰოროს“. საინტერესოა, რომ პოლიბიოსიც აზიას, ლიბიასა და ევროპას შორის საზღვრებად ბუნებრივ ზღუდეებს (მდინარეები, სრუტე) მიიჩნევს.

პოლიბიოსის თქმით, „არტაბადანესის ქვეყანა, რომელიც მიდიას ესაზღვრება, გამოყოფილია მისგან ზედ შუაში მდებარე მთიანეთით“ (V, 55, 7).²¹ აქაც ორ ქვეყანას

¹⁵ ჰეროდოტე. ისტორია. ტ. II, გვ. 422.

¹⁶ ქსენოფონი. კიროსის ანაბასისი. ანტიკური კავკასია, I, გვ. 120.

¹⁷ იქვე, გვ. 130.

¹⁸ იქვე, გვ. 131.

¹⁹ იქვე, გვ. 134.

²⁰ პოლიბიოსი. ისტორია. ანტიკური კავკასია, I, გვ. 192.

²¹ იქვე, გვ. 195.

შორის ბუნებრივი საზღვარი - მთიანეთია დასახელებული. ცხადია, პოლიბიოსიც გადმოგვცემს იმ უძველეს პრაქტიკას, რომლის თანახმადაც სამყაროს ნაწილები, ქვეყნები და ეთნოსების საცხოვრისი ტერიტორიები ერთმანეთისგან გამიჯნული იყო ბუნებრივი წარმონაქმნებით (მდინარეებით, სრუტეებით, ზღვებითა და ტბებით, მაღალი ქედებით და ა. შ.).

სკიმნოს ქიოსელი (ძვ. წ. I ს.) თავის „ხმელეთის აღწერილობაში“ (874-885) აღნიშნავს: „ტანაისზე, რომელიც აზიის საზღვარია და ხმელეთს ორად ჰყოფს, თავდაპირველად ცხოვრობენ სარმატები“. ²² ავტორი „საზღვარს“ გადმოსცემს ტერმინით „ἔθνος“ – „პოროს“, ხოლო ხმელეთის ორად გამყოფ ბუნებრივ ზღუდედ მდ. ტანაისს მიიჩნევს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებია დაცული სტრაბონის (ძვ. წ. I – ახ. წ. I სს.) „გეოგრაფიაში“. ერთგან ავტორს მოაქვს ერატოსთენესის მსჯელობა იმის შესახებ, რომ, თუ არ იქნება ზუსტი საზღვარი კოლიტასა და მელიტას შორის (მაგ., ქვის სვეტები ან ზღუდეები), მაშინ შესაძლებელია მხოლოდ ითქვას, რომ „ეს კოლიტაა“ „ან მელიტა“, საზღვრებს კი ვერ მივუთითებთ; ამ მიზეზით კი ხშირად წარმოიშვება დავები მაგ., არგოსელებსა და დაკედემონელებს, ათენელებსა და ბეოტიელებს შორის (I, 4, 7). სტრაბონი იზიარებს გამოთქმულ დებულებას, მაგრამ ეკამათება ერატოსთენესს: იქნებ ერატოსთენესი მიიჩნევს, რომ ქვეყნებსა და ცალკეულ ხალხებს შორის ზუსტი საზღვრის დადგენა პრაქტიკულად სასარგებლოა, ხოლო მატერიკების ერთმანეთისაგან გამოყოფა ზედმეტია? იქვე გეოგრაფოსი დაასკვნის, რომ ეს უკანასკნელი არანაკლები მნიშვნელობისაა, რადგან შესაძლოა ძლევამოსილ მმართველთა შორისაც ატყდეს დავა მატერიკების საზღვრების გამო (I, 4, 8).

მოტანილი ამონარიდებიდან ნათლად იკვეთება, რომ სტრაბონისათვის ქვეყნებსა და ხალხებს, ასევე მატერიკებს შორის ზუსტი საზღვრის დადგენას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გეოგრაფოსი კიდევ უფრო აზუსტებს თავის შეხედულებას. მისი თქმით, ქვეყნის საზღვრები სიდიდითა და ზომით ზუსტად დადგენილია, როცა ის შეიძლება შემოიფარგლოს მდინარეებით, მთებით ან ზღვით, ბოლოს და ბოლოს ტომით ან ტომებით, სადაც კი ეს შესაძლებელია (II, 1, 30). ამდენად ქვეყნებსა და ხალხებს შორის საზღვრის დადგენას უპირატესობას ანიჭებს ბუნებრივ გამყოფებს - მდინარეებს, მთათა სისტემას, ზღვას და ა. შ. იქ, სადაც ეს შესაძლებლობა არ არსებობს, უნდა იყოს ხელოვნური ნიშნები, მაგ., ქვის სვეტები, ზღუდე-სიმაგრეები და სხვ.

მითრიდატე VI ევპატორის მიერ აგებული 75 ციხე-სიმაგრეიდან, სტრაბონის აზრით, უმნიშვნელოვანესი იყო „ჰიდარა, ბასგოიდარიძა და სინორია; ეს არის დიდი არმენიის საზღვარზე მდებარე ადგილი, ამიტომაცაა, რომ თეოფანემ უწოდა მას სინორია“ ((II, 3, 28). ²³ გეოგრაფოსი „საზღვარს“ გადმოსცემს ტერმინით „ἔθνος“ –

²² სკიმნოს ქიოსელი (ფსევდო). ხმელეთის აღწერილობა. ანტიკური კავკასია, I, გვ. 203.

²³ თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 212-213.

„ჰოროს“. მოტანილ ფრაზაში ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი სიმაგრის - სინორიას სახელწოდება, რომელიც, ავტორის თქმით, მისთვის თეოფანეს დაურქმევია. „სინორია“ (ἰ), რაც ბერძნულად ნიშნავს „საზღვარზე მდებარეს“, ამ ციხეს ადგილმდებარეობის გამო ეწოდა.

სტრაბონის ცნობით, იბერები, აპოლოდოროსის (ძვ.წ. II ს.) მტკიცებით, „არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი კიროსითა და მოსხური მთებით“ (I, 3, 21).²⁴ სიტყვის „ესაზღვრებიან“ გადმოსაცემად გეოგრაფოსი იყენებს ზმნას „ἰ“ (საწყისი ფორმა ἰ ἰ). ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ უკანასკნელის ძირია „ἰ“ - „ჰოროს“, რაც ნიშნავს „საზღვარს“.

იმავე ტერმინს ვხვდებით „გეოგრაფიის“ სხვა თავებშიც. მაგ., სადაც ლაპარაკია ეთიოპიის საზღვრებზე (II,5,11); ევროპისა და აზიის საზღვარზე (XI, 2, 1) და ა. შ.

ზოგჯერ სტრაბონი „საზღვრის“ გადმოსაცემად ხმარობს ტერმინს „μ ἰ“. მაგ., ფრაზებში: „მიუთითებენ კოლხიდისა და იბერიის საზღვრებზე“ (I, 2, 39); ან „ალბანიისა და არმენიის საზღვრებამდე“ (XI, 1, 5) და ა. შ. აქაც უნდა უთქვას, რომ ხსენებულ ტერმინშიც აშკარად იკითხება ძირი „ἰ“ - „ჰოროს“.

„გეოგრაფიაში“ ვხვდებით „ἰ“ - იდან ნაწარმოებ სხვა სიტყვებსაც. ვფიქრობთ, საინტერესოა პასაჟი, სადაც სტრაბონი გადმოსცემს იბერიის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურას. ავტორის თქმით, ქურუმები, რომლებიც შეადგენენ მეორე გენოსს „ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან (ἰ ἰ μ ἰ) სამართალზე“ (XI, 3. 6).²⁵ ამ ტერმინთან დაკავშირებით თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს: „სტრაბონის ცნობის ἰ μ ἰ (ძირია - ἰ საზღვარი) კი სწორედ იმას ნიშნავს, ვინც საზღვართან გემიჯნება (და არა იმას, ვინც საზღვრის შიგნით მეზობელია)“.²⁶

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სტრაბონი „საზღვრის“ (და მასთან დაკავშირებული ცნებების, მაგ., მოსაზღვრედ მცხოვრები და სხვ.) გადმოსაცემად იყენებს: ტერმინს „ἰ“ - „ჰოროსს“ და მისგან ნაწარმოებ ფორმებს.

ანალოგიურად იქცევა დიოდოროს სიცილიელი (ძვ. წ. I ს.). მაგ., „ბიბლიოთეკაში“ (XIV, 29,5) ნათქვამია: „როგორც კი ელინებმა მათი (მაკრონების - ვ.ვ.) საზღვარი გადალახეს, შევიდნენ კოლხთა ქვეყანაში“. ²⁷ მოცემულ ფრაგმენტში „საზღვარს“ შეესატყვისება ბერძნული „ἰ“ - „ჰოროს“.

ამავე ტერმინს ან მისგან ნაწარმოებ ფორმებს იყენებს პლუტარქოსი (I – II სს.). მაგ., კავკასიონის ქედის ზოლი, „ჰირკანიის ზღვამდეა გადაჭიმული, მაგრამ ალბანებს არ ესაზღვრება (ἰ ἰ μ ἰ) (პომპეუსი XXXV).²⁸

საინტერესო ცნობას გვაწვდის პლუტარქოსი საზღვრის აღმნიშვნელი ნიშნების შესახებაც. მაგ., თეზევსმა „ისტმოსში დადგა საყოველთაოდ ცნობილი სვეტი, რომელზეც ქვეყნის საზღვრის აღსანიშნავად გააკეთა ორი ტრიმეტრიით

²⁴ იქვე, გვ. 81.

²⁵ თ. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 130.

²⁶ თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976, გვ. 153.

²⁷ დიოდოროს სიცილიელი. ბიბლიოთეკა. ანტიკური კავკასია, I, გვ. 271.

²⁸ პლუტარქოსი. პარალელური ბიოგრაფიები, პომპეუსი. ანტიკური კავკასია, I, გვ. 284.

შესრულებული წარწერა, რომელთაგან ერთი, აღმოსავლეთისკენ მიმართული, ამბობდა: პელოპონესი არ არის აქ, იონიაა; მეორე, დასავლეთისკენ მიმართული კი გვამცნობდა: პელოპონესია აქ და არა იონია“ (თეზევსი, XXV).²⁹ ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იქ, სადაც საზღვრის დადება ბუნებრივ გამყოფებზე ვერ ხერხდებოდა, ქვის სვეტებს (შესაბამისი წარწერით) ან ხელოვნურ ზღუდეებს აღმართავდნენ.

ყურადღებას იპყრობს იმავე ავტორის მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა გარკვეული ტერიტორიის შემოსაზღვრა. პლუტარქოსის თქმით, რომულუსმა დაიწყო თხრილის ამოთხრა, რათა მომავალი ქალაქის კედლები შემოეფარგლა. ხოლო როცა მისი ძმა, რემუსი ამ თხრილს გადმოახტა, ის მოკლეს. ერთნი ამბობენ, რომ სასიკვდილო დარტყმა მას თავად რომულუსმა მიაყენა, სხვათა თქმით, კი - ცელერუსმა, რომულუსის მეგობარმა... ოდნავ მოგვიანებით, რომულუსმა სახნისით ღრმა კვალი გაავლო და ასე მონიშნა ქალაქის საზღვრები (რომულუსი, X-XI). ეჭვგარეშეა, რომ ქალაქ რომის დაარსების შესახებ თხრობაში პლუტარქოსი გადმოგვცემს უძველეს ტრადიციას, თუ როგორ ხდებოდა საკუთარი ტერიტორიის შემოსაზღვრა. როგორც ჩანს, თავდაპირველად საზღვრად იყენებდნენ ღრმა თხრილს, შემდგომში კი ხელით ნაგებ ზღუდეებს.

ძალზე საინტერესოა პლუტარქოსის აზრი საზღვრის მნიშვნელობის შესახებ. მისი თქმით, ზღვარი/საზღვარი, თუ მას დაიცავ, ბოჭავს ძალას, ხოლო თუ არა - გამხელს ძალადობაში (ნუმა, XVI). ვფიქრობთ, მოტანილი ფრაზა კარგად აჩვენებს საზღვრის მიმართ ბერძენი ავტორის პატივისცემას.

დიონისიოსი (II ს.) თავის „სამყაროს აღწერაში“ (14-22) წერს: „ევროპას აზიისაგან შუაზე მიჯნავს ტანაისი“; „ზეადმართულია აზიის ქვეყნის კიდეზე ერთი ყელი-კასპიისა და ევქსინოსს შორის. მას მიიჩნევენ ევროპისა და აზიის საზღვრად“.³⁰ პირველ შემთხვევაში ავტორი იყენებს ზმნას „ὁ ἰ“, მეორეში კი არსებით სახელს „ὄ“ - „ჰოროსს“.

ანალოგიურად იქცევა არიანოსიც (I - II სს.). მისი თქმით, „ტრაპემუსელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონიც ამბობს, არიან კოლხები“ (13).³¹ „მოსაზღვრედ მცხოვრების“ აღსანიშნავად აქ ვხვდებით ტერმინს „ὄμ“, რომლის ძირიც, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, არის „ὄ“. სხვაგან რომაელი მოხელე ამბობს, რომ ესქილე „ევროპისა და აზიის საზღვრად (ὄ) ფასისს თვლის“ (16).³²

იმავე ავტორის სხვა თხზულებაში - „ალექსანდრეს ანაბასისი“ - ნათქვამია: „დარიოსს მიეშველნენ ინდოელთაგან ისინი, ვინც ბაქტრიელების მეზობლები (ὄμ) არიან (III, 8, 3-6)“.³³ „ინდოეთის ამბებში“ არიანოსი აღნიშნავს: „ინდოელთა

²⁹ პლუტარქე. რჩეული პარალელური ბიოგრაფიები. I. ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ. თბ., 1957, გვ. 13.

³⁰ დიონისიოსი. სამყაროს აღწერა. ანტიკური კავკასია, I. გვ. 298.

³¹ არიანოსი. ევქსინოსს პონტოსის პეროპლუსი. ანტიკური კავკასია, I, გვ. 305.

³² იქვე, გვ. 307.

³³ არიანოსი. დასახ. ნაშრ. გვ. 308.

ქვეყნის საზღვარი ჩრდილოეთის ქარის მიმართულებით არის ტავროსის მთა“(2, 1).³⁴ ამ შემთხვევაშიც „საზღვარს“ შეესაბამება „ὄ“ – „ჰოროს“.

კლავდიოს პტოლემეაიოსის (90 – 168 წწ.) „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ მიხედვით, „აზიის სარმატია ჩრდილოეთით ესაზღვრება (ὄ ἰ) უცნობ მიწას“ (V, 8).³⁵ მოტანილ ფრაზაში გამოყენებული სიტყვის ძირია ზმნა „ὄ ἰ“, რომელზეც ზემოთ არაერთხელ იყო საუბარი. ავტორი გვამცნობს, რომ კოლხიდა ჩედილოეთიდან შემოსაზღვრულია სარმატიის ნაწილით (IX, 1).³⁶ აქაც „შემოსაზღვრის“ აღსანიშნავად ხსენებულ ზმნას ვხვდებით. ანალოგიური ვითარება გვაქვს თხზულების სხვა მონაკვეთებშიც (მაგ., X, 1; XI, 1; XII, 1; XVIII, 2 და სხვ.).

დიონ კასიოს კოკეიანოსის (II – III სს.) „რომის ისტორიაში“ იბერიელებზე ნათქვამია, რომ „ეს ხალხი კირნოსის ორივე მხარეზე ცხოვრობს, ერთი მხრიდან ალბანელებს ესაზღვრებიან (ὄ ἰ), მეორედან კი - არმენიელებს“(XXXVII, 1).³⁷ მოტანილი სიტყვა ნაწარმოებია ტერმინიდან „ὄ“ – „ჰოროს“.

იგივე ავტორი მოგვითხრობს, რომ პუბლიუს კანიდიოს კრასუსი შეიჭრა იბერიის „მეზობელ (ὄμ) ალბანიაში“ (XLIX, 24).³⁸ აქაც „მეზობელი“, „მოსაზღვრე ქვეყნის“ გადმოსაცემად გამოიყენება სიტყვა, რომელიც ნაწარმოებია ჩვენ მიერ არაერთგზის ხსენებული ტერმინიდან „ὄ“.

დიონისიოს ბიზანტიელის (I–II სს.) „ბოსპოროსის ანაპლუსში“ (2) ნათქვამია, რომ მდ. ტანაისი არის „ორი ხმელეთის საზღვარი (ὄ)“.³⁹

ფილოსტრატოსი (II- III სს.) თავის თხზულებაში „აპოლონიოს ტიანელის შესახებ“ (VII, 26) აღნიშნავს: სკვითებს „ზღუდავს ისტროსები, თერმოდონები და ტანაისები“.⁴⁰ ავტორი აქ იყენებს ზმნას „ὄ ἰ“, რომელზეც არაერთხელ იყო საუბარი.

რომის აღმოსავლეთით გაფართოებამ, განსაკუთრებით მითრიდატე VI ევპატორის წინააღმდეგ წარმოებულმა ომებმა ხელი შეუწყო ლათინურენოვან ტექსტებში კავკასიის (და მათ შორის ისტორიული საქართველოს) შესახებ მდიდარი მასალის თავმოყრას. მართალია, აქ ხშირად ვხვდებით ცნობებს მითოლოგიურ ამბებთან დაკავშირებით, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია ის თხზულებები, რომელთა ავტორებიც თავიანთ თანადროულ ან უახლოესი წარსულის მოვლენებს გადმოსცემენ. ბუნებრივია, დიდია მათი როლი ისტორიული საქართველოს და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე სხვადასხვა პროცესის შესწავლაში. რა თქმა უნდა, უაღრესად საინტერესოა ლათინურენოვანი წყაროები ქართველური მოდგმის ხალხების განსახლების არეალის დადგენისა და ქართული პოლიტიკური წარმონაქმნების საზღვრების შესახებ. ამიტომ ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ

³⁴ იქვე, გვ. 312.

³⁵ კლავდიოს პტოლემეაიოსი. გეოგრაფიული სახელმძღვანელო. ანტიკური კავკასია, I, გვ. 356 ა.

³⁶ იქვე, გვ. 356 ბ.

³⁷ დიონ კასიოს კოკეიანოსი. რომის ისტორია. ანტიკური კავკასია, I, გვ. 360.

³⁸ იქვე, გვ. 366.

³⁹ დიონისიოს ბიზანტიელი. ბოსპოროსის ანაპლუსი. ანტიკური კავკასია, I, გვ. 360.

⁴⁰ ფილოსტრატოსი. აპოლონიოს ტიანელის შესახებ. ანტიკური კავკასია, I, გვ. 375.

ზემოხსენებულ ტექსტებში „საზღვრის“ ცნების აღმნიშვნელ ტერმინებს, რომელსაც ლათინურენოვანი ავტორები იყენებენ.

პომპონიუს მელა (I ს.) თავის „ადგილმდებარეობათა აღწერაში“ (I, 14) შენიშნავს: „ევროპა ისაზღვრება (terminus) აღმოსავლეთიდან ტანაისით“.⁴¹ „termino“ არის ზმნა, რომელსაც შეესაბამება: გამიჯვნა, გამოყოფა, მიჯნის გავლება, შემოსაზღვრა. ის ნაწარმოებია არსებითი სახელისგან „terminus“ (ტერმინუს), რომლის შესატყვისია სასაზღვრო ქვა, მიჯნის ნიშანი. საინტერესოა, რომ ტერმინუსი ძველ რომში იყო საზღვრებისა და მიჯნების ღმერთი.

ამავე ტერმინს „საზღვრის“ გადმოსაცემად იყენებს კვინტუს კურციუს რუფუსი (I ს.). „ალექსანდრე დიდის ისტორიებში“ (VI, 2) ნათქვამია, რომ ალექსანდრე მივიდა პართიაში, რომელიც მდინარეების ევფრატესისა და ტიგრისის გადაღმაა და „წითელ ზღვას ესაზღვრება (terminantur)“.⁴²

ზემოხსენებულ თხზულებაში აღნიშნულია: „ჰირკანიის მეზობელი (finitima) ტომი იყო ამპონებისა“ (VI, 5).⁴³ „finitimus“ (ფინიტიმუს) არის მოსაზღვრე, მომიჯნავე, მიმდებარე, მეზობელი. ამ ტერმინის ძირია „finis“, რაც ნიშნავს საზღვარს, ზღვარს, მიჯნას, კიდეს.

რუფუსის ცნობით, ხორაზმელთა წინამძღოლის, ფრატაფერნესის „სამფლობელოების საზღვრები (confinio) მასაგეტებსა და დაჰებს ეხება“ (VIII, 1).⁴⁴ ვფიქრობთ, რთული შესამჩნევი არ არის, რომ მოტანილი სიტყვის ძირი ასევე არის ზემოთ ნახსენები „finis“.

აღნიშნულ ტერმინს არაერთხელ ხმარობს გაიუს პლინიუს სეკუნდუსიც (23-79 წწ.). „ბუნების ისტორიაში“ (II, 246) იხსენიება „სარმატთა საზღვრები (fines)“⁴⁵; „არმენიის მოსაზღვრე (confinium) მხარეების მაცხოვრებლები“ (VI, 28)⁴⁶; მდინარე კიროსი, „რომელიც არმენიასა და იბერიას შორის საზღვარს წარმოადგენს“ (VI, 39).⁴⁷

საზღვრის ცნების გადმოსაცემად მარკუს ანაეუს ლუკანუსი (39-65 წწ.) უპირატესობას ანიჭებს „ტერმინუსს“. მაგ., „სამოქალაქო ომში“ (III, 266-276) საუბარია მდინარე ტანაისზე, რომელიც წარმოადგენს „აზიისა და ევროპის საზღვარს (terminus)“.⁴⁸

⁴¹ პომპონიუს მელა. ადგილმდებარეობათა აღწერა. ანტიკური კავკასია, I, გვ. 486.

⁴² კვინტუს კურციუს რუფუსი. ალექსანდრე დიდის ისტორიები. ანტიკური კავკასია, I, გვ. 492.

⁴³ იქვე, გვ. 493.

⁴⁴ იქვე, 495.

⁴⁵ გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი). ბუნების ისტორია. ანტიკური კავკასია, I, გვ. 497.

⁴⁶ იქვე, გვ. 501.

⁴⁷ იქვე, გვ. 504.

⁴⁸ მარკუს ანაეუს ლუკანუსი. სამოქალაქო ომი. ანტიკური კავკასია, I, გვ. 513.

მისგან განსხვავებით, ჰიგინუსი (II ს.) იყენებს ტერმინს „finis“. „ამბების“ CXLV თავში („ნიობე ანუ იო“) ავტორი მოგვითხრობს, რომ „[იომ] გამოცურა სკვითიაში, საიდანაც საზღვრებს (fines) ზოსფორისი ეწოდება...“.⁴⁹

ტაციტუსი (დაახლ. 55-116/120 წწ.) თავის „ანალებში“ საზღვრის აღსანიშნავად ორივე ტერმინს ხმარობს. ისტორიკოსი ერთგან გადმოგვცემს, რომ გადიდგულელებული პართიის მეფე, არტაბანოსი იმპერატორ ტიბერიუსისაგან „ითხოვდა სპარსელთა და მაკედონიელთა ძველი საზღვრების (terminus) აღდგენას“ (VI, 31).⁵⁰ იმავე ავტორის თქმით, იბერთა მეფეს, ფარასმანესს მაცნეები გაუგზავნეს და შეუთვალეს, რომ „არმენიის საზღვრებს (finibus) გაშორებოდა და თავისი ვაჟიც იქიდან გაეყვანა“ (XII, 48).⁵¹

ანალოგიურად იქცევა გაიუს იულიუს სოლინუსიც (III ს.). „ღირსშესანიშნავ ამბების კრებულში“ ნათქვამია, რომ სავრომატების „მომიჯნავედ (confines) ცხოვრობენ თალები“ (5,18)⁵²; მდინარე კიროსი „არმენიისა და იბერიის საზღვარზე (fines) მიედინება“ (19, 3)⁵³; „[აზიას] ირგვლივ საზღვრებად (terminus) აკრავს მდინარეები: ეგვიპტის ზღვიდან - ნილოსი, მეოტიის ტბიდან - ტანაისი“ (40, 1)⁵⁴; ბაქტრიის მიწების „იმ ნაწილიდან საზღვრებს (fines) კვეთს მდინარე ლაქსატესი“ (49, 5).⁵⁵

ვფიქრობთ, მოტანილი ამონარიდები ნათლად აჩვენებს, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ლათინურენოვან ტექსტებში „საზღვრის“ ცნების გადმოსაცემად ძირითადად გამოყენებული იყო ტერმინები „finis“ (ფინის) და „terminus“ (ტერმინუს) და მათგან ნაწარმოები ფორმები. ბუნებრივია, ავტორები „საზღვრის“ სხვა შესატყვისებსაც მიმართავდნენ. მაგ., იგივე სოლინუსი თავის თხზულებაში ამბობს, რომ „... ეს არის სასაზღვრო ზოლი, სადაც სპარსეთის საზღვარი (limes) სკვითიისას უერთდება“ (49, 5).⁵⁶ როგორც ვხედავთ, აქ „საზღვარს“ შეესაბამება „limes“ (ლიმეს), რომლის უპირველესი მნიშვნელობაა მიჯნა, სამანი, სამიჯნე ნიშანი, საზღვარი, ზღვარი. მიუხედავად ამ მაგალითისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „საზღვრის“ ცნება, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში, გადმოცემულია ტერმინებით „fines“ (ფინეს) და „terminus“ (ტერმინუს). სწორედ მათ იყენებენ ლათინურენოვანი ავტორები ხალხებს, ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის საზღვრის დადების აღსანიშნავად.

ამრიგად, ჩვენ შევისწავლეთ „საზღვრის“ ცნება და მისი აღმნიშვნელი ტერმინები კლასიკური, ელინისტური და რომაული ხანის ბერძნულ და

⁴⁹ ჰიგინუსი. ამბები. ანტიკური კავკასია, I, გვ. 532.

⁵⁰ ტაციტუსი. ანალები. ანტიკური კავკასია, I, გვ. 536.

⁵¹ იქვე, გვ. 547.

⁵² გაიუს იულიუს სოლინუსი. ღირსშესანიშნავი ამბების კრებული. ანტიკური კავკასია, I, გვ. 562.

⁵³ იქვე, გვ. 563.

⁵⁴ გაიუს იულიუს სოლინუსი. დასახ. ნაშრ. გვ. 563.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე, გვ. 564.

ლათინურენოვან ტექსტებში. ვფიქრობთ, მოტანილი მასალიდან ნათლად გამოიკვეთა, რომ

ა) „საზღვარს“ ბერძნულენოვან წყაროებში შეესაბამება ტერმინი „ὄ“ (ჰოროს), ლათინურენოვანში - „terminus“ (ტერმინუს) და „finis“ (ფინის) და მათგან ნაწარმოები ფორმები;

ბ) „საზღვარი“ არის ეთნოსების/ხალხების, ქვეყნების, სახელმწიფოებისა და სამყაროს ნაწილების/კონტინენტების გამყოფი მიჯნა;

გ) ავტორები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ საზღვრებს, რომლებიც ბუნებრივ ზღუდეებზე (მდინარეები, სრუტეები, ტბები, ზღვები, მთათა სისტემები) გადის, რაც მათი თანადროული ან კიდევ უფრო არქაული ტრადიციის ასახვას წარმოადგენს;

დ) იქ, სადაც ბუნებრივი გამყოფები არ არსებობდა, სასაზღვრო ნიშნებად გამოიყენებოდა ხელოვნური ზღუდეები (თხრილები, სიმაგრეები და ა. შ.) ან სპეციალური ქვის სვეტები სათანადო წარწერებით;

ე) უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საზღვრის ზუსტად დადგენას, რადგან უამისობა მეზობლებს შორის ტერიტორიული დავების მიზეზი ხდებოდა;

ვ) ანტიკური ავტორები საზღვრის მიმართ სათანადო პატივისცემას ამჟღავნებენ.